განკარგულება:**გ-37. 37262382**
თარიღი:**26/08/2026**

განკარგულება N58

26 აგვისტო 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, 106^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი